

პარი III სასამართლოების დაფინანსება

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება მიმართულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეალური მდგომარეობის ანალიზისა და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით, სასამართლოს მიმდინარე აუცილებელი ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე თანამშრომელთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად, სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სხვა ძირითადი საშუალებებით უზრუნველსაყოფად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის დაზუსტებული საბიუჯეტო ასიგნებანი შეადგენს 6615.0 ათას ლარს. შრომის ანაზღაურებაში გაიხარჯა 4715.8 ათასი ლარი, რაც მოიცავს: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა და აპარატის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოს. დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გაიცა ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიები და კანონმდებლობით დადგენილი დანამატი.

2014 წლის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების საკასო ხარჯებმა შეადგინა 1497.7 ათასი ლარი, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს 266.7 ათას ლარს, თანამშრომელთა მივლინების საკასო ხარჯმა შეადგინა 117.5 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებმა – 655.6 ათასი ლარი, წარმომადგენლობითმა ხარჯმა – 145.2 ათასი ლარი, სამედიცინო ხარჯებმა – 4.2 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯებმა შეადგინა 20.4 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯმა შეადგინა 234.7 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯებმა – 53.5 ათასი ლარი.

აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა 44.7 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლში – 54.6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების მუხლში საკასო ხარჯმა შეადგინა – 280.3 ათასი ლარი.

უზენაესი სასამართლოს საქმიანობისათვის გამოყოფილი ასიგნებები მიმართულ იქნა სასამართლოს საფოსტო (მარკა, კონვერტი, გზავნილები) ხარჯების, კომუნალური მომსახურების (გათბობის მიზნით საწვავის, ელექტროენერგია, წყალი, დასუფთავება, ინტერნეტი) და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად; შეძენილ იქნა სხვადასხვა ფორმები (ბლანკები, სარეგისტრაციო ჟურნალები), ტექნიკის სახარჯი მასალები, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი. სასამართლოს შენობას ჩაუტარდა სამღებრო-სარემონტო სამუშაოები. უზენაესი სასამართლოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯი და ინვენტარი.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფაქტობრივი დაფინანსება
საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან
FACTUAL FINANCING OF THE SUPREME COURT OF GEORGIA FROM THE STATE
BUDGET OF 2014**

**მიმდინარე წლის ხარჯი
Current Expense**

თანხა ლარებში Amount in GEL

ხარჯის კოდი Code of expense	ხარჯების დასახელება Name of expense	დაზუსტებული გეგმა Accurate plan	საკასო ხარჯი Cash expense	შესრულება % of execution
	საერთო ხარჯები Common expenses	6615000	6593123	99.67
21	შრომის ანაზღაურება Salaries	4716000	4715840	99.99
22	საქონელი და მომსახურება Goods and Services	1514000	1497718	98.92
27	სოციალური უზრუნველყოფა Social maintenance	45000	44661	99.25
28	სხვა ხარჯები Other expenses	56000	54567	97.44
31	არაფინანსური აქტივები Non-financial assets	284000	280337	98.71

2. საერთო სასამართლოების დაფინანსება

საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებები გაწერილი იყო ბიუჯეტის შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

1. სასამართლო სისტემა
2. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: სასამართლო სისტემა

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა 09 01

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება: 2014 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ზრდა. დატვირთულობის მიხედვით დაუწესდათ ყოველთვიური დანამატები თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს. შრომის ანაზრაურების მულში არსებული ეკონომიის ფარგლებში განხორციელდა მოსამართლეთათვის დანამატების, ხოლო სასამართლოს აპარატის თანამშრომლებზე პრემიების გაცემა. განხორციელდა მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევა. მოსამართლეებს, რომლებსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არ ქონდათ საცხოვრებელი ბინა, გამოეყოთ საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის საჭირო თანხები.

საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა: დასრულდა მართლმსაჯულების სახლის სამშენებლო სამუშაოები. განხორციელდა 36 სასამართლოს შენობის სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, ბათუმის, ფოთის, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო, ზესტაფონის, გორის, ხაშურის, ბოლნისის, ზუგდიდის, სენაკის, ახალქალაქის, ხელვაჩაურის, ამბროლაურისა და ცაგერის რაიონულ, წყალტუბოს, ბაღდათის, ტყიბულის, ჭიათურის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ხულოს, ქედის, შუახევის, კასპის, ქარელის, ონის, ლენტეხის, ნინოწმინდის, ადიგენის, აბაშის, ჩხოროწყუს, ხობისა და საგარეჯოს მაგისტრატ სასამართლოებში. დასრულდა სარეზერვო "დატა ცენტრის" განსატავსებელი შენობის მშენებლობა. თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების ცენტრალური არქივის ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე მოეწყო ავტოსადგომი. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტში ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომლებისათვის შეძენილ იქნა 155 ერთეული პერსონალური და 80 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი, 85 ერთეული ლაზერული პრინტერი, 29 ერთეული სკანერი, 7 ერთეული ასლგადამღები აპარატი. საერთო სასამართლოების შენობებში სერვერების გაძლიერების მიზნით, შეძენილ იქნა ქსელური შემნახველი მასივები. ავტოპარკის განახლების მიზნით განხორციელდა ამორტიზებული ძველი

ავტომანქანების ჩანაცვლება 18 ერთეული ახალი ავტომანქანით. 28 მაგისტრატის სასამართლოს სხდომათა დარბაზებში დამონტაჟდა ხმის ჩამწერი აპარატურა. 4 რაიონული სასამართლოსთვის მოხდა ვიდეოსაკონფერენციო აპარატურის შეძენა-მონტაჟი. განხორციელდა რესურსების მართვის სისტემის პროგრამული პაკეტის შეძენა. საერთო სასამართლოები უზრუნველყოფილ იქნა ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონლითა და მომსახურებით.

ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება: 63 ნაფიცი მსაჯული უზრუნველყოფილ იქნა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან.

სასამართლო ხელისუფლების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების გაუმჯობესება: სასამართლო სისტემის რეფორმისა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა სიახლეების გაშუქებისა და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით განხორციელდა საგაზეთო ჩანართების მომზადება. რადიო მაუწყებლების საშუალებით მოხდა, სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და რეგიონალური სასამართლოების შესახებ იმერეთისა და აჭარის რეგიონის მოსახლეობის ინფორმირება. ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის, სასამართლო სისტემაში მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და ტელე ეთერში გადაიკა სატელევიზიო გადაცემები. დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

2.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება 09 02

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

1. მიმდინარეობდა მოსამართლეობის კანდიდატების (იუსტიციის მსმენელების) ერთი, 16 მსმენელისგან შემდგარი ჯგუფის სწავლება.
2. მიმდინარეობდა მოსამართლეების და სასამართლოს სხვა მოსამსახურეთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.
3. მიმდინარეობდა ტრენინგების ტრენინგები (TOT).
4. ევროპელ და ქართველ ექსპერტებთან თანამშრომლობით მიმდინარეობდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ხოლო 2014 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო სამოქმედო გეგმის განხორციელება.

საერთო სასამართლოების დაფინანსება საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან

FINANCING OF COMMON COURT FROM THE STATE BUDGET OF GEORGIA OF 2014

თანხა ათას ლარებში Amount in thousand GEL

ხარჯების დასახელება	დაზუსტებული გეგმა Accurate plan	საკასო ხარჯი Cash expenses	შესრულება % Execution	Name of expenses
საერთო სასამართლოები	47,912.0	47,435.1	99.0	Common court
ხარჯები	45,028.3	44,641.6	99.1	Expenses
შრომის ანაზღაურება	34,921.9	34,881.4	99.9	Salaries
საქონელი და მომსახურება	8,902.2	8,659.1	97.3	Goods and service
გრანტები	9.3	9.3	100.0	Grants
სოციალური უზრუნველყოფა	682.4	680.1	99.7	Social guarantees
სხვა ხარჯები	512.5	411.7	80.3	Other expenses
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,868.4	2,778.2	96.9	Increase of non-financial assets
ვალდებულებების კლება	15.3	15.3	100.0	Decrease of responsibilities

საერთო სასამართლოების დაფინანსება საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან
(თანხა ათას ლარებში)

